

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004, მუხ. 200) 281-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 ნაწილი:

„14. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გადამხდელ პირებს, რომელთა მიწის ნაკვეთებიც მდებარეობს „საქართველოს ზოგიერთი რეგიონის საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 3 აგვისტოს №341 ბრძანებულებით საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონად გამოცხადებულ ტერიტორიაზე, შეუწყდეთ საგადასახადო ვალდებულებები 2000 წლის 1 იანვრიდან 2001 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მიხედვით გაანგარიშებული მიწის გადასახადის ვადაგადაცილებულ დავალიანებათა თანხებზე დარიცხულ საურავებზე და საგადასახადო ორგანოებმა მათი ჩამოწერა განახორციელონ გადამხდელის პირად ბარათზე ასახვით, ამ კოდექსის 92-ე მუხლის გაუთვალისწინებლად.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი